სპორტი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | ორშაბათი, 11 მაისი | 1998 №69 (604) | ფასი 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ელდარ კურტანიძე

ვითა მეექვსედ!

ჩემპიონი ბოლო მატჩის ბოლო წამებზე გამოვლინდა

„ვითამ" ტიტული დაიცვა, „აზოტი" კი ჩემპიონობასთან ასე ახლოს პირველად რომ იყო, რუსთავის იუბილეს გამარჯვებით ვერ შეხვდა

ევროპა დაიპყრეს!

— ჩემპიონობა მსურს, საჩემპიონოდ მივდივარ და ამაზე ორი აზრი არც შეიძლება არსებობდეს. კი ბატონო, სპორტში პროგნოზი ძალიან სარისკო საქმეა, მაგრამ, დამიჯერეთ, მეც და ჩემი მწვრთნელებიც ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ ბრატისლავიდან ჩემპიონი დავბრუნდე — თავისუფლად მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრების წინ გვითხრა ელდარ კურტანიძემ და ასე ყველაფერი აგვიხდეს მასაც და ჩვენც...

58 კგ წონით კატეგორიაში ფავორიტად ითვლებოდა გორელი დავით პოღოსიანი და ჩვენც მისგან მზოლოდ ოქროს ველოდით. დათომ ყველა შერკინება ბრწყინვალედ ჩაატარა და ზედიზედ მეორედ მოიპოვა კონტინენტის უძლიერესი ფალავნის ტიტული.

დავით პოღოსიანი

რუსთავის „აზოტმა" წლევანდელ სეზონში ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ჩემპიონატის ტახტს ახალი პატრონი ჰყოლოდა, მაგრამ სულ ბოლო, გადამწყვეტ მატჩში ერთი ზუსტი ტყორცნა დაკლდა პირველობაში გასამარჯვებლად და „ვითა" ზედიზედ მეექვსედ გახდა საქართველოს ჩემპიონი...

სპორტის სასახლეში ბევრი გულშემატკივარი მოვიდა. ტრიბუნები მთლად სავსე არ იყო, მაგრამ ბევრიც არაფერი უკლდა.

წინა მატჩებისგან განსხვავებით, ეს შეხვედრა ხარისხობრივი თვალსაზრისით ყველაზე ნაკლები იყო, მაგრამ ამას თავისი გამართლებაც აქვს: სწორედ ამ მატჩში წყდებოდა საქართველოს ჩემპიონის ბედი.

მატჩის დებიუტი რუსთაველთა უპირატესობით წარიმართა. რამაზ გოგობერი-შვილმა სწრაფი გარღვევა ბოიასა მიმართ გაგზავნილი ჩინებული პასით დასრულა და ანგარიშიც გაიხსნა. უნდა ითქვას, რომ სწორედ რამაზის თამაშმა განაპირობა დასაწყისში რუსთაველთა უპირატესობა, მე-6 წუთზე ისევ მის გარღვევას ჯაფარიძე აგვირგვინებს. იქვე ბადრი კიკვიძე აგდებს სამქულიანს და „აზოტს" 7-ქულიანი უპირატესობა აქვს 11:4. ვითელები ვითარების გამოსწორებას ცდილობენ, მაგრამ უშედეგოდ ასრულებს შეტევებს კორძაძე, რომელმაც წინა ორი მატჩი კარგად ითამაშა, არ გამოსდით შორეული ტყორცნები აბრამიძეს და ტურაშვილსაც და რუსთაველები ინიციატივას ინარჩუნებენ. ზურაბ ტომარაძეს ნორჩი ლაშა ლოსაბერიძე შემოჰყავს. იგი კარგად ჩაერთო თამაშში, ზედიზედ სამჯერ იგებს ბრძოლას საკუთარ ფარქვეშ და პარტნიორები შეტევაზეც გაჰყავს. მას კიდევ ერთმა ნორჩმა ვითელმა გაგნიძემ აუბა მხარი და მეთერთმეტე წუთისთვის „ვითა" პირველად დაწინაურდა 17:16. ცოტა ხანს თამაში ქულა ქულაში მიდის, მაგრამ ისევ გოგობერიშვილის მეცადინეობით რუსთაველები კვლავ შორდებიან მეტოქეს.

გუნდებს არ მისდით სამქულიანები და ელემენტარული შეცდომებიც ხშირია. განსაკუთრებით ეს ვითელებს ეტყობათ, რომლებმაც პირველ ტაიმში შეიდჯერ დაკარგეს ბურთი გარბენებისთვის და საჯარიმოებიც ვერ გამოიყენეს ზუსტად. ამასთან გუნდებს პერსონალურებიც საკმაოდ დაუგროვდათ. მწვრთნელები იძულებულნი არიან, ახალგაზრდა კალათბურთელები გამოიყვანონ მოედანზე და საბედნიეროდ, ისინი ორივე მწვრთნელს უმართლებენ. ვითელებზე უკვე ითქვა, რუსთაველთაგან კი კარგად ითამაშა ლევან ჩაჩუამ. მისი სამქულიანით „აზოტი" მეტოქისგან მოწყვეტას ცდილობს, მაგრამ დავითულიანის კარგი თამაშის წყალობით ტაიმამდე სამი წუთით ადრე ჩემპიონი ანგარიშს ათანაბრებს. ცოტა ხანიც და ალეკოსა ლაშა ლოსაბერიძის დუეტს უკვე „ვითა" გაჰყავს წინ, მაგრამ ტაიმის ბოლოს ვითელები გაუმართლებელ შეცდომებს უშვებენ — ჯერ კიკვიძეს მისცეს სხვაობის შემცირების საშუალება, ბოლო წამებზე კი შეტეეაც ვერ დასრულეს შედეგიანად და კიკვიძეზე დაჯარიმდნენ, კიკვიძემ ორიდან ერთი ჯარიმის გამოყენებით პირველი ტაიმი „აზოტს" მოაგებინა 38:37.

იხილეთ მეოთხე გვერდი

შამპანური გრასჰოპერისთვის

შოთა არველაძის დაწყებული მიხეილ ყაველაშვილმა და გიორგი ნემსაძემ გააგრძელეს — პარასკევს შვეიცარიის ჩემპიონობა ვადაზე ადრე დაიბეგვის.

იმ საღამოს ბევრი კი ვეეცადეთ ვაჩემპიონებულ ქართველებთან დაკავშირება, მაგრამ ვერაფრით მოვახერხეთ. მოლხენა ციურიხშიც იცეკვეს. თურმე გვიან დამემდე კაციშვილს სუფრიდან ფეხი არ მოუცლია. ჩვენებურებმაც აღნიშნეს პირველობა და „სარბიელისთვისაც" მოიცალეს. პირველად ყველას მიულოცეთ:

— გასახარი არ არის? ჩემპიონატის ბოლომდე ორი ტურია დარჩენილი და კონკურენტები ისე ჩამოვიტოვეთ, რომ პირველობისთვის ბრძოლას აზრი დავუკარგეთ. უნდა გენახათ, აქ რა ხდებოდა.

— პრეზიდენტს დაუპატიჟებიხართ რესტორანში.

— ჰო, „ციურიხთან" მოგებული საჩემპიონო მატჩის შემდეგ შემოგვითვალა, არსად წახვიდეთ, დამელოდეთო. რამდენიმე წუთის შემდეგ თავადაც გამოჩნდა. აბა, დავსხდეთ და წავიდეთო. რესტორანი დახურა. ღამის ოთხ საათამდე არსად გაგვიშვა. მანამდე კი გასახდელში იყო ერთი ამბავი, შამპანურში ვიბანავეთ.

— დანაპირევი აასრულე: ახლა შოთას და გიოს წინააღმდეგ უნდა გაემზადოთ ჩემპიონთა ლიგაში სათამაშოდ.

— ლიგაში თამაში მართლაც ყველა ფეხბურთელის ოცნებაა. ჩემპიონობა ამადაც მიხარია, უძლიერეს ევროპულ კლუბებთან ბრძოლა რომ მოგვიწევს. „იალქსზე" კი რა ვითხრათ. მანამდე ხომ წილისყრაა. ვნახოთ. იქნებ მართლაც ჩვენებურთა მეტოქეობა მოგვიწიოს.

— რესტორნისა და შამპანურის გარდა სხვანაირადაც დაგიფასდებათ შვეიცარიაში პირველობა.

— სამი დღეა ვისვენებთ და სახლიდან არ გავსულვარ. ტელევიზორში კი სულ ჩვენს ამბავს აჩვენებენ. აქამდე მწვრთნელს რომ მუდმივად აკრიტიკებდნენ, ახლა ცაში აიყვანეს.დიდება „გრასჰოპერსო", ამბობენ. მე და ნემსოსაც ხშირად მოგვიხსენიებენ, კარგად ითამაშეს, ქართველთა წვლილიც არის კალათა გაჩემპიონებაშიო.

— მანჩესტერიდან ხომ არ დაურეკავთ?

— არა, სეზონის ბოლოს ყველაფერი მეცოდინება. ჯერ ვერაფერს გეტყვით. 25-ში თბილისში ჩამოვდივარ და ახალ ამბებსაც თან ჩამოვიტან.

ნემსოს კი ჩემპიონობასთან ერთად სხვაც ჰქონდა მისალოცი — დაბადების დღე. ვუშინ ნაკრების კაპიტანი ვუშინ 26 წლისა შესრულდა.

— გიორგი, ჩემპიონობას და დღეობას ერთად გილოცავთ...

— გმადლობთ, დიდი მადლობა. დღეს ორმაგად ბედნიერი ვარ. მთელი წლის შრომა დაგვიფასდა. ახლა შვეიცარიაში თუ კი ნაცნობი ქართველია, ყველა ჩემთანაა, გუნდელებიც ერთად ავღნიშნავთ...

ძოგა ინასარიძე

REUTERS ბარსელონიდან

მეფური საჩუქარი მაკლარენს

ბარსელონის „კატალუნია მონტმელოს" ტრასაზე რბოლის გამარჯვებულისთვის განკუთვნილი პრიზი ესპანეთის მეფემ ხუანკარლოსმა ფინელ მიკა ჰაკინენს გადასცა.

„მაკლარენის" ბილოტებმა ეს რბოლაც შესანიშნავად ჩაატარეს და კიდევ ერთი დუბლი მოუტანეს გუნდს. მესამე ადგილზე გავიდა მიხაელ შუმახერი, რომელმაც ახალგაზრდა ავსტრიელი ალექს ვურცი ჩაბოიტოვა. შესანიშნავად ირბოლა რუბენს ბარიჩელომ, რომელმაც „სტიუარტს" ამ სეზონში პირველი 2 ქულა მოუპოვა. კვლავ სუსტად იასპარეზეს „უილიამსის" ბილოტებმა. რომლებმაც ვერც კვალიფიკაციაში ივარგეს და რბოლისასაც ვილნევი ვერა და ვერ დაეწია ბარიჩელოს.

რას ვიზამთ ოვიედოში?

დღეს საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები გაემგზავრება ესპანეთის ქალაქ ოვიედოში, სადაც 14-17 მაისს გაიმართება ევროპის ჩემპიონატი. ნაკრების მთავარი მწვრთნელის შოთა ხაბარელის გადაწყვეტილებით, ოვიედოს ტატამზე იასპარეზებენ ნესტორ ხერგიანი (60 კგ), გიორგი რევაზიშვილი (66), ჯონდო მუზაშვილი (73), სოსო ლიპარტელიანი (81), გია გუგავა (90), ივერი ჯიქურაული (100), რამაზ ჩოჩიშვილი (მძიმე, აბსოლუტური).

მსოფლიოს ჩემპიონატი ჰოკეიში

A ჯგუფი. ჩეხეთი — რუსეთი 2:2; შვეიცარია — სლოვაკეთი 1:1

B ჯგუფი. შვედეთი — კანადა 7:1; ფინეთი — ბელარუსი 5:2

ნახევარფინალში შვეიცარია შეეღეთს შეხვდება, ფინეთი — ჩეხეთს

ტიტული ექსუტიტულოს

საფრანგეთი

XXXIV ტური

ბასტია 2:1 ნანტი

1:0 კოზნიკუ (38), 1:1 ლე რუა (40), 2:1 ლორენი (43)

მონაკო 5:2 ბორდო

0:1 ვილტორდი (3), 1:1 ტრეზეგე (14), 2:1 იკპბა (26), 3:1 ტრეზეგე (34), 4:1 იკპბა (36), 4:2 ლასლანდი (55), 5:2 ჟიული (90)

კანი 1:3 გინგამი

1:0 ბრაი (7), 1:1 ტასფაუ (47), 1:2, 1:3 მორეირა (56, 85)

ოსერი 1:1 ლანსი

1:0 ლამუში (13), 1:1 ლაშერი (53)

მეცი 1:0 ლიონი

1:0 როდრიგესი (3)

ლე ავრი 1:1 მარსელი

0:1 მოსე (9), 1:1 პუჟე (343)

სტრასბური 3:0 მონპელიე

1:0 არბინონი (28), 2:0 იუნგი (75), 3:0 კინგ (85)

შატორუ 2:1 პსჟ

1:0 ტებილი (27), 1:1 სიმონე (35), 2:1 ჩაკარი (60)

რენი 1:0 ტულუზი

1:0 დიავარა (74)

საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურს კარგა ხანია ამხელა მნიშვნელობა აღარ ჰქონია: უნდა გარკვეულიყო ჩემპიონი! „ლანსი“ თუ „მეცი“? გამარჯვებული საფრანგეთის 60 წლიან საფეხბურთო ისტორიაში რიგით მეთექვსმეტე იქნებოდა. თამაშების დაწყებამდე კი სიტუაცია და გუნდების ბედი ძალიან გადახლართული იყო, რადგან „ლანსი“ თამაშობდა ოსერში, რომელსაც აუცილებლად სჭირდებოდა გამარჯვების სამი ქულა, რათა „ლიონის“ მეცში (!) დამარცხების შემთხვევაში უეფას თასის უკანასკნელი საგზური ჩაეჯიბა. მოკლედ, თუ ჩემპიონი „ლანსი“ გახდებოდა უეფაზე „ლიონი“ გადიოდა, ხოლო თუ ოქროს მედლებს მეცელები დაისაკუთრებდნენ, მაშინ „ოსერის“ მოხუც მწვრთნელ გი რუს შარშანდელივით ინტერტოტოზე გასვლა და სეზონის რამდენიმე ზედმეტი თამაშით გადატვირთვა აცდებოდა. უკეთესი შანსები „ლანსის“ და „ლიონის“ მხარეს იყო, რადგან მათ ორ ერთდროულად დაწყებულ მატჩში ერთ-ერთის ფრედ დამთავრებაც კი აწყობდათ. ამასთანავე სტატისტიკის თანახმად ისინი ფრანგული გუნდებიდან სტუმრად თამაშში საუკეთესონი იყვნენ (27 და 26 ქულა შესაბამისად), მაგრამ არავის უნდა დავიწყებოდა, რომ „ოსერში“ შარშანდელი და წლევანდელი სეზონის საუკეთესო გოლეადორი სტეფან გივარში თამაშობდა, ხოლო „მეცს“ შინ გამართული თექვსმეტი მატჩიდან ცამეტში გამარჯვებულს დაეტოვებინა „სენ სიმფორიენის“ მინდორი.

გარდა ამისა, ამ ტურს იმ მესამე უბედურის ბედიც უნდა ვაერკვია, ვინც „კანისა“ და „შატორუს“ კვალდაკვალ, პირველ დივიზიონს გამოეთხოვებოდა. ამის შესაძლებლობა კი სამ გუნდს ჰქონდა — „სტრასბურს“, „რენს“ და „გინგამს“. „სტრასბური“ და „რენი“ უკეთეს სიტუაციაში იყვნენ: პირველს სახლში „მონპელიესთან“ ფრეც აძლევდა ხელს, მეორეს კი „ტულუზისთან“ გამარჯვების შემთხვევაში ფოთელების ძველი ნაცნობი ვერაფრით დაეწეოდა.

ტური საღამოს 8 საათზე დაიწყო.

ანგარიში პირველად მეცში გაიხსნა. თამაშის დაწყებიდან 8 წუთი იყო გასული, როცა ლიონელებმა საფრანგეთის ნაკრების ფორვარდი რობერ პირესი ცენტრთან ახლოს დასცეს მინდორზე. საშიში თითქოს არაფერი იყო. „მეცის“ გამთამაშებელმა ფრედერიკ მერიემ (რომელიც შარშან „ლანსიდან“ გაადგეს) საგანოდ „იუვენტუსისთვის“ გამზადებულ ჟოსლენ ბლანშარს გადააწოდა, რომელმაც საჯარიმოში ჩააწოდა. ერთ-ერთ ლიონელს ბურთი თავზე აეჭრა და „მეცის“ კორსიკელ თავდამსხმელს ბრუნო როდრიგესს მიუვიდა, რომელმაც არ დაახანა და უძლიერესი დარტყმით მეტოქის კარის ბადე შეარხია.

ამ დროს ჩემპიონად კვლავ „ლანსი“ რჩებოდა. მაგრამ ხუთიოდ წუთში ანგარიში ოსერშიც გაიხსნა. მატჩი ლანსელების გააფთრებული შეტევებით დაიწყო და მოწინააღმდეგის დაცვასა და მეკარეს ბევრი თავსატეხი გაუჩნდა. ერთ-ერთი იერიში შმიცერის გოლითაც დასრულდა, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. მალე კი ფეხბურთის ერთ-ერთი დაუწერელი კანონი ამუშავდა, „თუ ვერ გაიტან — გაგიტანენ“. „ოსერის“ პირველივე შეტევისას, მე-13 წუთზე, მომავალმა პარიზელმა იონ ლაშუერმა ფრანგთა ნაკრების წევრ საბრი ლამუშის მიაწოდა, რომელმაც სტეფან გივარშთან გათამაშებული კედლის შემდეგ მოწყვეტით დაარტყა. გი ვარმუზმა ბურთზე თვალის გაყოლების მეტი ვერაფერი შეძლო — 1:0. ახლა კი უკვე „მეცი“ — „ოსერის“ წყვილი იგებდა. მაგრამ ლანსელები და ლიონელები ამას არ შეეგუენ და ისევ შეუტიეს, თუმცა პირველი ნახევარი მაინც ლოტარინგიელთა და ბურგუნდიელთა სასარგებლოდ დასრულდა.

REUTERS ოსერიდან

ლანსელთაგან დეუ ყველაზე ძალიან ხაროობდა

ბურთაობის განახლებისთანავე განახლდა „ლანსის“ შტურმიც. პატარა კაცი, ანუ ჩრდილოელთა მომცრო ტანის გამთამაშებელი სტეფან ზიანი მშვენივრად ხელმძღვანელობდა შეტევებს და ამიტომაც ვერელს, დრობნიაკს, ელუას (რომელმაც ხაბარიკონისთან შეტაკებაში თავგატეხილი შმიცერი შეცვალა) და სხვებს ერთმანეთის მიყოლებით ექმნებოდათ საგოლე მომენტები, მაგრამ პირველ ნახევარში მეტისმეტი დატვირთვისგან დამტვრეული შარბონიეს შემცვლელი კული წარმატებით იცავდა თავის კარს. ასე გაგრძელდა მეორე ნახევრის მე-13 წუთამდე. აქ კი მოხდა ის, რაც აქამდეც უნდა მომხდარიყო, მოედნის შუაგულიდან დეუმ ულამაზესი, უმშვენიერესი და უზუსტესი პასით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა გუნდის მარცხენა მცველი ლაშორი, ვინაც თავი არ შეირცხვინა და სეზონში მეორე გოლი გაიტანა, რითაც „ლანსს“ ჩემპიონობა დაუბევა.

დაძაბულობა და კარგი თამაში არც ამის მერე შემცირებულა, თუმცა ანგარიში ოსერშიც და მეცშიც აღარ შეცვლილა. ასე, რომ ბურთების უკეთესი სხვაობის წყალობით 1997-98 წლების საფრანგეთის ჩემპიონი პირველად თავის ხანგრძლივ ისტორიაში, ურიცხვი ფანის გასახარად „სისხლის და ოქროს“ ფერები (როგორც ლანსელებს საფრანგეთში ეძახიან) გახდნენ. თამაშის შემდეგ მათი პრეზიდენტი ჟერვე მარტელი და მწვრთნელი დანიელ ლეკლერი პატარა ბავშვებივით ატირდნენ სიხარულისგან. ამ გამარჯვებით ჩრდილოელებმა, რომლებმაც ძვირიანი შამპანიურის ნაცვლად იაფიანი „ჰეინეკენით“ იწუწავეს, დაამტკიცეს, რომ ფეხბურთში წარმატების მისაღწევად ფულის ქონა მთავარი არ არის. ისინი ნამდვილად „მეცზე“ მეტად იმსახურებდნენ ოქროს მედლებს, რადგან მთელი ჩემპიონატის მანძილზე ჩავარდნა არ ჰქონიათ (ზედიზედ ორჯერ არ დამარცხებულან), ულამაზეს და ღია ფეხბურთს თამაშობდნენ და არცერთხელ [illegible] ქრიათ. („ოსერთან“ ფრე პირველი იყო 17 გასვლაში).

ზეიმი კი „აბატი დეშანის“ სახელობის სტადიონზევე დაიწყო და დაახლოებით სამ საათში ლანსში „ფელიქს ბოლეარზე“ გაგრძელდა, სადაც 30 000 ერთგული ელოდა გმირებს. (სხვათაშორის ლანსის მოსახლეობა მხოლოდ და მხოლოდ 30 000-ია).

პირველ დივიზიონს კი „გინგამი“ ტოვებს, „კანთან“ და „შატორუსთან“ ერთად, კანში გამარჯვების მიუხედავად. მათ ადგილებს გაისად „ნანსი“, „ლორიანი“ და „სოშო“ დაიკავებენ.

ჩემპიონთა თასზე, როგორც აქამდეც ცნობილი იყო, „ლანსი“ და „მეცი“ იასპარეზებენ, უეფაზე — „მონაკო“, ბრინჯაოს მედლების მფლობელი „მარსელი“, „ბორდო“, და „ლიონი“ გამოვლენ, თასების თასზე კი — პსჟ. ინტერტოტო კი ისევ „ოსერს“ და „ბასტიას“ ერგოთ შარშანდელივით.

ბაიოზ თალაძგაძე
პარიზიდან

საბოლოო ცხრილი

ლანსი	34	21	5	8	55:30	68
მეცი	34	20	8	6	48:28	68
მონაკო	34	18	5	11	51:33	59
მარსელი	34	16	9	9	47:27	57
ბორდო	34	15	11	8	49:41	56
ლიონი	34	16	5	13	39:37	53
ოსერი	34	14	9	11	55:45	51
პსჟ	34	14	8	12	43:35	50
ბასტია	34	13	11	10	36:31	50
ლე ავრი	34	10	14	10	38:35	44
ნანტი	34	11	8	15	35:41	41
მონპელიე	34	10	11	13	32:42	41
სტრასბური	34	9	10	15	39:43	37
რენი	34	9	9	16	36:48	36
ტულუზი	34	9	9	16	25:46	36
გინგამი	34	9	8	17	30:41	35
შატორუ	34	8	7	19	31:59	31
კანი	34	7	7	20	32:59	28

ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებენ „ლანსი“ და „მეცი“, თასების თასზე გამოვა „პსჟ“, ხოლო უეფას თასზე იასპარეზებენ „მონაკო“, „მარსელი“, „ბორდო“ და „ლიონი“. „ოსერი“ და „ბასტია“ კი ინტერტოტოს თასზე გამოვლენ. ლიგიდან გავარდნენ „კანი“ და „შატორუ“.

ნაცნობი მომავალი

ინგლისი

XXXVIII ტური

ასტონ ვილა 1:0 არსენალი

1:0 იორკი (373)

ბარნსლი 0:2 მანჩესტერი

0:1 კოული (5), 0:2 შერინგემი (76)

ბლეკბერნი 1:0 ნიუკასლი

1:0 სატონი (88)

ჩელსი 2:0 ბოლტონი

1:0 ვიალი (73), 2:0 მორისი (89)

კრ. პალასი 1:0 შეფილდი

1:0 მორისონი (90)

დერბი 1:0 ლიესტერული

1:0 ვენჩოპი (63)

ეფერტონი 1:1 ქოვენთრი

1:0 ფარელი (7), 1:1 დაბლინი (88)

ლიდსი 1:1 უიმბლდონი

1:0 ჰაალანდი (82), 1:1 ეკოკუ (88)

ტოტენჰემი 1:1 საუთჰემპტონი

0:1 ლე ტისიე (21), 1:1 კლინსმანი (27)

ვესტ ჰემი 4:3 ლესტერი

1:0 ლამპარდი (15), 2:0 აბუ (31), 2:1 კოტი (60), 3:1 სინკლერი (65), 3:2 ჰეასკი (66), 4:2 აბუ (74), 4:3 კოტი (83)

ჩემპიონი, ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელნი და ევროთასების სხვა მონაწილენი პირველობის დასრულებამდე რამდენიმე ტურით ადრე გაირკვა. წლევანდელი სეზონის ბოლო ტურში კი გადასაწყვეტი დამრჩენ-გასავარდნთა საკითხი რჩებოდა და გუშინ ესეც გაირკვა — შარშანდელ სეზონში პრემიერლიგაში სამი აღწევებული გუნდი „ბოლტონი“, „ბარნსლი“ და „კრისტალ პალასი“ იქ დაბრუნდნენ, საიდანაც მოვიდნენ.

ნუთუ ინგლისის პირველობების ისტორიაში ყველაზე შედეგიანი კლუბი „ეფერტონი“ ქვეყნის საფეხბურთო ელიტას დატოვებდა? — ეს კითხვა არამარტო ლივერპულელ ფანებს, არამედ უცხოელ გულშემატკივრებსაც აღელვებდა. ბედმა არ გაწირა „ეფერტონი“ — შინ, „ქოვენთრისთან“ ფრედ 1:1 დასრულებული მატჩის შემდეგ მისი პრემიერლიგაში დარჩენა ოფიციალურად დამტკიცდა. კონკურენტმა „ბოლტონმა“ დედაქალაქში, „სტემფორდ ბრიჯზე“, ვერაფერი გააწყო „ჩელსისთან“ — 0:2.

„ჰადსონ პარკზე“ (ეფერტონელთა სარბიელია) შეკრებილი 40 ათასი ფანი ლამის ჭკუიდან შეიშალა, როცა გარეტ ფარელმა სეზონში შედგებული პირველი, მაგრამ უმნიშვნელოვანესი და ულამაზესი გოლით მასპინძლები დააწინაურა. გუნდმა პრემიერლიგაში დარჩენისკენ პირველი ნაბიჯი გადადგა, თუმცა შეხვედრის მიწურულს კინაღამ ყველაფერი წყალში ჩაიყარა — ნიკ ბარმბიმ 87-ე წუთზე პენალტი ვერ შეაგდო, წამებში კი „ქოვენთრის“ ბომბარდერმა დიონ დაბლინმა გააყალიბა, მაგრამ „ეფერტონის“ ბედად „ჩელსიმ“ ბოლტონელთა კარი ორჯერ დალაშქრა და...

— ეს იყო დღე, რომლის ხელახლა გადატანასაც არ ვისურვებდი. კლუბი დღევანდელის დარ გამოცდას ვეღარ გადაიტანს, მაგრამ სანამ მე „ეფერტონის“ მწვრთნელი ვიქნები, ასეთი რამ მეორედ არ მოხდება — გადარჩენილი „ეფერტონის“ თაკკაკი ჰოვარდ კენდალი ძალიან აღელვებული გახლდათ.

ერთი სიტყვით, „ეფერტონმა“ პრემიერლიგელის სახელი შეინარჩუნა — ინგლისის ჩემპიონატის დაარსებიდან, ანუ 1888 წლიდან მოყოლებული „ეფერტონს“ ქვეყნის საფეხბურთო ლიდერთა შორის მხოლოდ ოთხი სეზონი არ უთამაშია. 1954 წლის შემდეგ კი გუნდი მუდამ უმაღლეს დივიზიონშია.

გაირკვა ევროტურნირებში მონაწილეთა ვინაობაც: „არსენალი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებენ, უეფას თასზე კი „ლივერპული“ და „ლიდსი“ გამოვლენ. აქვე იქნება ინგლისის 1995 წლის ჩემპიონი „ბლეკბერნი“, რომელმაც ჩემპიონატის უკანასკნელ მატჩში თემურ ქეცბაიას „ნიუკასლი“ დაამარცხა. თასების თასზე, 16 მაისს გასამართი ფინალის შედეგის მიუხედავად, „ნიუკასლი“ ითამაშებს, ვინაიდან მისი მეტოქე „არსენალი“ ჩემპიონთა ლიგის კარს შეაღებს. თასების თასზევე შეიძლება ითამაშოს „ჩელსიმ“, თუ, რა თქმა უნდა, „შტუტგარტს“ ფინალში მოუგო. თუ მოხდა და ლონდონელებმა გერმანელები სძლიეს, მაშინ უეფას თასზე გამოვა „ასტონ ვილაც“, თუ არა და უეფაზე „ჩელსი“ ითამაშებს.

რაც შეეხება ჩემპიონატის ბომბარდირებს, აქ პირველობა სამმა ფეხბურთელმა დაისაკუთრა — ლივერპულელთა 18 წლის თავდამსხმელმა მაიკლ ოუენმა, ქოვენთრელმა დიონ დაბლინმა და ბლეკბერნელმა კრის სატონმა. სხვათა შორის, ამ სეზონში ფეხბურთელებს ბომბარდირობის მოსაპოვებლად მხოლოდ 18 გოლის გატანა მოუხდათ, არადა წინა წლებში 30-ზე ნაკლები არ გადიოდა.

ლაზა გოდუაძე

საბოლოო ცხრილი

არსენალი	38	23	9	6	68:33	78
მანჩესტერი	38	23	8	7	73:26	77
ლივერპული	38	18	11	9	68:42	65
ჩელსი	38	20	3	15	71:43	63
ლიდსი	38	17	8	13	57:46	59
ბლეკბერნი	38	16	10	12	57:52	58
ასტონ ვილა	38	17	6	15	49:48	57
ვესტ ჰემი	38	16	8	14	56:57	56
დერბი	38	16	7	15	52:49	55
ლესტერი	38	13	14	11	51:41	53
ქოვენთრი	38	12	16	10	46:44	52
საუთჰემპტონი	38	14	6	18	50:55	48
ნიუკასლი	38	11	11	16	35:44	44
ტოტენჰემი	38	11	11	16	44:56	44
უიმბლდონი	38	10	14	14	34:46	44
შეფილდი	38	12	8	18	52:67	44
ეფერტონი	38	9	13	16	41:56	40
ბოლტონი	38	9	13	16	41:61	40
ბარნსლი	38	10	5	23	37:82	35
კრ. პალასი	38	8	9	21	37:71	33

ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებენ „არსენალი“ და „მანჩესტერი“, თასების თასზე „ნიუკასლი“, ხოლო უეფას თასზე იასპარეზებენ „ლივერპული“, „ჩელსი“, „ლიდსი“ და „ბლეკბერნი“. „ასტონ ვილა“ და „ვესტ ჰემი“ ინტერტოტოს თასზე გამოვლენ. ლიგა დატოვეს ამ სეზონში შემოსულმა „ბოლტონმა“, „ბარნსლიმ“ და „კრისტალ პალასმა“.

პირველი დივიზიონი

პლეი ოფის პირველი მატჩები
შეფილდ იუნაიტედი — სანდერლენდი 2:1;
იფსვიჩი — ჩარლტონი 0:1

ავსტრია

34-ე ტური. აუსტრია — გრაცერი 0:1; ლუსტენაუ — ლინცერი 4:1; რიდი — ტიროლი 1:3; ზალცბურგი — ადმირა 4:0; შტურმი — რაპიდი 0:1

შტურმი	34	23	8	3	78:28	77
გრაცი	34	17	6	11	50:31	57
რაპიდი	34	16	8	10	36:35	56
ლინცი	34	16	4	14	63:51	52
ზალცბურგი	34	14	8	12	45:32	50
ტიროლი	34	12	12	10	48:46	48
აუსტრია	34	10	9	15	37:51	39
რიდი	34	9	9	16	36:53	36
ლუსტენაუ	34	6	14	14	35:52	32
ადმირა ვაკერი	34	5	6	23	33:82	21

ბელგია

34-ე ტური. გენტი — სტანდარდი 4:1; გენკი — მუსკრონი 0:2; ლიერსი — შარლეროა 1:1; მოლენბეკი — ლოკერენი 5:1; ანტვერპენი — ეკერენი 3:2; ბეეერენი — ანდერლეხტი 0:1; ჰარელბეკი — აალსტი 2:1; ვესტერლო — ლომელი 1:1; ბრიუგე — სენტ ტრუიდენი 6:0

საბოლოო ცხრილი

ბრიუგე	34	26	6	2	78:29	84
გენკი	34	20	6	8	65:40	66
ეკერენი	34	17	7	10	60:48	58
ანდერლეხტი	34	16	9	9	53:37	57
ჰარელბეკი	34	15	10	9	50:32	55
ლოკერენი	34	16	4	14	65:69	52
ლიერსი	34	14	8	12	54:45	50
გენტი	34	11	14	9	51:44	47
სტანდარდი	34	11	10	13	53:50	43
ლომელი	34	10	11	13	46:50	41
ვესტერლო	34	9	14	11	51:56	41
მუსკრონი	34	11	8	15	39:44	41
შარლეროა	34	9	12	13	46:57	39
სტ. ტრუიდენი	34	8	13	13	32:45	37
აალსტი	34	9	9	16	51:66	36
ბეეერენი	34	7	11	16	30:48	32
მოლენბეკი	34	8	7	19	39:74	31
ანტვერპენი	34	6	7	21	39:68	25

ლიგიდან გავარდნენ: ანტვერპენი და მოლენბეკი.

რუსეთი

მე-7 ტური. ზენიტი — როსტსელმაში 3:0; ლოკომოტივი — ჩერნომორეცი 1:1; დინამო — შინიკი 1:1; ჟემჩუჟინა — როტორი 1:1; ალანია — ტორპედო 0:2; ურალანი — ცსკა 1:2; კრილია — სპარტაკი 0:2; ბალტიკა — ტიუმენი 2:0

ზენიტი	7	4	2	1	12:5	14
ალანია	7	4	2	1	9:5	14
როტორი	7	3	4	0	13:7	13
ბალტიკა	7	3	3	1	7:5	12
სპარტაკი	6	3	1	2	8:5	10
როსტსელმაში	7	2	3	2	9:8	9
ჩერნომორეცი	7	1	6	0	7:6	9
ჟემჩუჟინა	7	2	3	2	6:7	9
ლოკომოტივი	6	2	2	2	6:4	8
კრილია	7	2	2	3	7:8	8
ურალანი	7	2	1	4	6:9	7
ცსკა	6	1	3	2	6:7	6
ტორპედო	7	1	3	3	5:6	6
შინიკი	7	1	3	3	4:11	6
დინამო	6	0	5	1	3:5	5
ტიუმენი	7	1	1	5	3:13	4

ისრაელი

30-ე ტური. ჰაპოელი (აშქელონი) — ჰაპოელი (თელ ავივი) 2:3; ჰაპოელი (ბეერშევა) — მაკაბი (ჰაიფა) 1:0; ირონი (რიშონი) — ბნეი იეჰუდა 1:2; ბეითარი — მაკაბი (ფეთაჰ თიქვა) 1:0; ჰაპოელი (ქვარ სავა) — მაკაბი (ჰერცლია) 1:2; ჰაპოელი (ფეთაჰ თიქვა) — ჰაპოელი (იერუსალიმი) 3:2; ჰაპოელი (ჰაიფა) — ჰაპოელი (ბეთ შიანი) 5:2; მაკაბი (თელ ავივი) — ირონი (აშდოდი) 7:1

საბოლოო ცხრილი

ბეითარი	30	19	10	1	68:31	67
ჰ. თელ ავივი	30	20	6	4	40:15	66
ჰ. ჰაიფა	30	17	10	3	60:26	61
მ. ჰაიფა	30	14	8	8	48:34	50
ჰ. ფეთაჰ თიქვა	30	12	6	12	40:41	42
ჰ. ქვარ სავა	30	10	8	12	39:39	38
მ. თელ ავივი	30	9	10	11	38:34	37
მ. ჰერცლია	30	9	9	12	37:40	36
ი. რიშონი	30	10	6	14	42:52	36
მ. ფეთაჰ თიქვა	30	7	13	10	24:29	34
ჰ. იერუსალიმი	30	8	10	12	35:45	34
ი. აშდოდი	30	8	10	12	37:54	34
ჰ. ბეით შიანი	30	8	8	14	34:47	32
ბნეი იეჰუდა	30	8	8	14	25:39	32
ჰ. ბეერშევა	30	7	10	13	37:54	31
ჰ. აშქელონი	30	5	6	19	26:50	21

9 მაისი — ჰიტლერის და ჰესლერის აღსასრული

გერმანია

XXXIV ტური

ჰანზა 4:2 კარლსრუე

0:1 ჰესლერი (30), 1:1 ნიუვილი (31), 2:1 შტუდერი (45), 3:1 ბაუმგარტი (67), 4:1 მაიაკი (72), 4:2 ჰესლერი (90)

ჰამბურგი 1:1 კაიზერი

1:0 დემბინსკი (50), 1:1 მარშალი (86პ)

ბაიერნი 4:0 დორტმუნდი

1:0 შოლი (47), 2:0 მათეუსი (48), 3:0, 4:0 ელბერი (83, 90)

ჰერთა 1:3 დუისბურგი

0:1 ვოლერტი (38), 0:2 ოსტჰოფი (61), 1:2 პრიცი (67), 1:3 შპისი (74)

კიოლნი 2:2 ლევერკუზენი

1:0 მუნტიანუ (24), 2:0 შერი (61), 2:1 ფელდჰოფი (83), 2:2 ლოტნერი (89)

შალკე 2:1 არმინია

0:1 გერბერი (14), 1:1, 2:1 ვან ჰუგდალემი (44პ, 77პ)

ბოხუმი 1:0 მიუნხენი

ოაკილი (38 ს.კ.)

შტუტგარტი 1:0 ვერდერი

1:0 ჯორჯევიჩი (77)

ვოლფსბურგი 0:2 გლადბახი

0:1 ეფენბერგი (13), 0:2 ვინჰოფი (35)

შაბათს, 9 მაისს, როდესაც მთელი პოსტსაბჭოური სივრცე ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 53-ე წლისთავს აღნიშნავდა, „დაზარალებულ“ ქვეყანაში ბუნდესლიგის ბოლო ტურის მატჩები გაიმართა. გაირკვა გუნდები, რომლებიც ევროტურნირებზე იასპარეზებენ და ისინიც, ვინც მეორე ბუნდესლიგის წევრები გახდებიან. ჯერ ტრიუმფატორებზე ვისაუბროთ. წლის ყველაზე დიდი სენსაციის ავტორი „კაიზერსლაუტერნი“ და ექსჩემპიონი მიუნხენის „ბაიერნი“ რომ ჩემპიონთა ლიგაზე იასპარეზებდნენ, ამ ტურამდეც ცნობილი იყო და აქედან გამომდინარე, მათ უკანასკნელ მატჩებს თითქმის ფორმალური სახე ჰქონდა. თითქმის იმიტომ, რომ „წითელი ეშმაკებიდან“ ყველაზე აგრესიული „ეშმაკი“ ოლაფ მარშალი ბომბარდირობისათვის იბრძოდა, ხოლო „ბაიერნის“ მეტოქე თავად დორტმუნდის „ბორუსია“ იყო. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მიუნხენელებმა შავი დღე აყარეს თავის მუდმივ კონკურენტს, მარშალმა კი მართალია გაიტანა, მაგრამ ერთი, ეს კი საკმარისი არ აღმოჩნდა, ულფ კირსტენისთვის რომ გაესწრო და საუკეთესო ბომბარდირი გამხდარიყო.

გაირკვა უეფას თასზე გამსვლელთა ვინაობაც. ესენი არიან ამ თასის შარშანელი მფლობელი „შალკე“ და თასების თასის გათამაშების წლევანდელი ფინალისტი „შტუტგარტი“. გელზენკირჰენელები მართალია თავიდან აგებდნენ უკვე გავარდნილ „არმინიასთან“, თანაც შინ, მაგრამ ვან ჰუგდალემის პენალტებით შესრულებულმა დუბლმა ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა.

„შტუტგარტს“ მეტად პრინციპული მატჩი ელოდა კონკურენტ „ვერდერთან“. მოვლენები შტუტგარტელთათვის არცთუ სახარბიელოდ განვითარდა — პირველი ტაიმის მიწურულს, 43-ე წუთზე, მათი მთავარი გოლეადორი ფრედი ბობიჩი გაძევეს, უპირატესობა ბრემენელებმა იგდეს ხელთ, მაგრამ მასპინძლებმა მაინც თავისი გაიტანეს და ჯორჯევიჩის გოლის წყალობით უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვეს. „შტუტგარტს“ კიდევ ერთი, გერმანიისთვის კარგი საქმის გაკეთება შეუძლია — თუ იგი 13 მაისს თასების თასის ფინალში „ჩელსის“ დაამარცხებს, უეფას თასზე მომავალ სეზონში გერმანელთა წარმომადგენელობა უფრო სოლიდური გახდება — „შალკეს“ და „შტუტგარტს“ როსტოვის „ჰანზაც“ შეუერთდება. ამ უკანასკნელმა „კარლსრუეს“ სძლია, თავად მეექვსე საფეხურზე დამკვირდა, მოწინააღმდეგეს კი ბუნდესლიგიდან გავარდნა „გაუწალიჩა“. ჰესლერს და კომპანიას ისეთივე თავგამოდებით რომ ეთამაშათ, როგორც ეს მიონხენგლადბახის „ბორუსიამ“ გააკეთა, ლიგიდან მათ ნაცვლად ეფენბერგი და მისი მეგობრები გავარდებოდნენ. „კარლსრუეს“ ბედი ეწია ლევერკუზენის „ბაიერთან“ დაზავებულ „კიოლნს“ და ბიელეფილდის „არმინიას“.

დაბოლოს, ერთი საინტერესო ტრანსფერის შესახებ. მიუნხენის „ბაიერნის“ და გერმანიის ნაკრების მცველი მარკუს ბაბელი, რომელიც ჯერ კიდევ შარშან ლამობდა პრემიერლიგაში, კერძოდ „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლას, მომავალ სეზონში თემურ ქეცბაიასთან ერთად „ნიუკასლში“ იასპარეზებს.

დავით ძოვაზირიძე

საბოლოო ცხრილი

კაიზერი	34	19	11	4	63:39	68
ბაიერნი	34	19	9	6	69:37	66
ლევერკუზენი	34	14	13	7	66:39	55
შტუტგარტი	34	14	10	10	55:49	52
შალკე	34	13	13	8	38:32	52
ჰანზა	34	14	9	11	54:46	51
ვერდერი	34	14	8	12	43:47	50
დუისბურგი	34	11	11	12	43:44	44
ჰამბურგი	34	11	11	12	38:46	44
დორტმუნდი	34	11	10	13	57:55	43
ჰერთა	34	12	7	15	41:53	43
ბოხუმი	34	11	8	15	41:49	41
მიუნხენ 1860	34	11	8	15	43:54	41
ვოლფსბურგი	34	11	6	17	38:54	39
გლადბახი	34	9	11	14	54:59	38
კარლსრუე	34	9	11	14	48:60	38
კიოლნი	34	10	6	18	49:64	36
არმინია	34	8	8	18	43:56	32

ჩემპიონთა ლიგაში გამოვლენ „კაიზერსლაუტერნი“ და „ბაიერნი“, თასების თასზე გამოვა „დუისბურგი“, უეფას თასზე იასპარეზებენ „ლევერკუზენი“, „შტუტგარტი“ და „შალკე“, ხოლო „ჰანზა“ და „ვერდერი“ ინტერტოტის თასზე გამოვლენ. ლიგა დატოვეს „არმინიამ“, „კიოლნმა“ და „კარსლრუემ“.

მეორე ბუნდესლიგა

30-ე ტური. ფრაიბურგი — ცვიკაუ 1:3; კიკერსი — ვატენშაიდი 2:0; კარლ ცაისი — ზანქტ პაული 1:1; აინტრახტი — ფიურტი 1:1; ლაიფციგი — მაინცი 1:3; ურდინგენი — უნტერჰახინგი 2:2; კოტბუსი — დიუსელდორფი 2:1; ნიურნბერგი — ფორტუნა 1:1; მეპენი — გიუტერსლო დღეს გაიმართება

აინტრახტი	30	16	11	3	43:25	59
ნიურნბერგი	29	17	4	8	43:25	55
ფრაიბურგი	30	14	7	9	47:34	49
გიუტერსლო	29	12	12	5	37:22	48
ზანქტ პაული	30	10	14	6	32:29	44
ფორტუნა	30	10	13	7	47:43	43
ურდინგენი	30	11	9	10	32:31	42
კოტბუსი	30	9	13	8	30:29	40
ფიურტი	30	10	10	10	27:28	40
კიკერსი	30	11	6	13	39:42	39
უნტერჰახინგი	29	9	11	9	37:29	38
ვატენშაიდი	30	10	8	12	38:33	38
დიუსელდორფი	30	10	7	13	44:48	37
ლაიფციგი	29	10	7	12	30:43	37
მაინცი	30	7	13	10	43:45	34
კარლ ცაისი	29	7	8	14	31:49	29
მეპენი	29	5	9	15	32:51	24
ცვიკაუ	30	4	8	18	24:50	20

ინგლისი

36-ე ტური. სელტიკი — სენტ ჯონსტონი 2:0; დანდი იუნაიტედი — რეინჯერსი 1:2; ჰართსი — დანფერმლაინი 2:0; კილმარნოკი — ჰიბერნიანი 1:1; მოზერველი — აბერდინი 1:2

გლაზგოში ფუხბურთის მოყვარულ კათოლიკეებს უდიდესი ზეიმი აქვთ. მათმა საყვარელმა „სელტიკმა“ ბოლო ათი წლის განმავლობაში ჩემპიონის ტიტული პირველად მოიპოვა და როგორც იქნა, დაასრულა პროტესტანტების „რეინჯერსის“ ჰეგემონია შოტლანდიურ ფუხბურთში. შაბათს, ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩში, „სენტ ჯონსტონის“ 2:0 დამარცხებით „სელტიკმა“ კვლავ დაიბრუნა 1988 წლიდან დაკარგული ქვეყნის პირველი გუნდის სახელი.

საბოლოო ცხრილი

სელტიკი	36	22	8	6	64:24	74
რეინჯერსი	36	21	9	6	76:38	72
ჰართსი	36	19	10	7	70:46	67
კილმარნოკი	36	13	11	12	40:52	50
სტ ჯონსტონი	36	13	9	14	38:42	48
აბერდინი	36	9	12	15	39:53	39
დანდი იუნ.	36	8	13	15	43:51	37
დანფერმლაინი	36	8	13	15	43:68	37
მოზერველი	36	9	7	20	46:64	34
ჰიბერნიანი	36	6	12	18	38:59	30

ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს „სელტიკი.“

ლიგიდან გავარდა: ჰიბერნიანი, „მოზერველი“ კი ქვედალიგელ „ფალკირკთან“ გაარკვევს ვის ეკუთვნის ადგილი უმაღლეს ლიგაში.

ჰოლანდია

აიაქსი 1:2 უტრეხტი

0:1 დე იონგი (9), 0:2 მოლსი (30), 1:2 არველაძე (69)

ფეიენოორდი 0:1 ნაიმეგენი

0:1 პოთუიზენი (9)

გრონინგენი 1:0 სიტარდი

1:0 როზენი (81)

ჰერენვენი 3:2 ვალვაიკი

1:0 ნისტელროი (45), 1:1 პეტროვი (46), 1:2 რომეგალი (49), 2:2 კონსტანტინოვიჩი (58), 3:2 ნისტელროი (89)

გრედა 4:1 ვოლენდამი

1:0 სხიპერსი (7), 1:1 ბონდი (10), 2:1 ბოგდანოვიჩი (18), 3:1 ფესკენსი (20), 4:1 არველაძე (58)

მაასტრიხტი 1:3 ვიტესი

1:0 ემერსონი (1), 1:1 შუკოვი (75), 1:2 ტრასტფული (78), 1:3 პეროვიჩი (80)

**როდა 1:2 გრა

ვითა მეექვსედ!

სპორტის სასახლე. 9 მაისი.
საქართველოს მე-7 ჩემპიონატი.
სუპერფინალის მე-5 მატჩი

ვითა — აზოტი 89:88 (37:38)

ვითა: აბრამიძე (4), ტურაშვილი (2), დავითულიანი (33), ჩუბინიძე (10), კორძაძე, ორმოცაძე (12), გაგნიძე (8), კოკოლაშვილი (3), ლოსაბერიძე (17)

აზოტი: კიკვიძე (12), გოგობერიშვილი (25), ნიკლაური (2), ბოსა (11), ჯაფარიძე (22); ბერუაშვილი (2), ჩაჩუა (13), გოგოლაძე (1)

მსაჯები: ქურიძე, სტომატისი (საბერძნეთი)

დასაწყისი პირველ გვერდზე

საქართველოს 1998 წლის ჩემპიონი — თბილისის ვითა

მეორე ნახევარი დავითულიანის სწრაფი გარღვევებით დაიწყო და „ვითა“ დაწინაურდა, მაგრამ სამქულიანების სროლა კიკვიძემ და ჯაფარიძემ იკისრეს და იღბლიანადაც. ტაიმის მეექვსე წუთზე „აზოტი“ ხუთი ქულითაა წინ 49:44. აქ რუსთაველებმა პირველი დანაკლისი განიცადეს, ხუთი პერსონალურის გამო მოედანს ტოვებს ბერუაშვილი, მაგრამ „აზოტს“ ტემპი აღებული აქვს. ჩინებულად თამაშობენ გოგობერიშვილი, ჯაფარიძე, ჩაჩუა და მე-8 წუთზე „აზოტი“ 11 ქულით გადის წინ 59:48. „ვითასთვის“ საგანგაშო მდგომარეობაა. ამას მწვრთნელი ტომარაძეც ხვდება და წუთშესვენებას იღებს.

ალბათ, ეს მატჩის გადამწყვეტი მომენტია. რუსთაველებს ეს სხვაობა ცოტა ხანს რომ შეენარჩუნებინათ, ფსიქოლოგიური უპირატესობას უკვე მტკიცედ იგდებდნენ ხელთ. მაგრამ რუსთაველები რატომღაც მოდუნდნენ. ვითელებმა ეს ივრძნეს და ტემპს უმატეს. ისევ ჩინებულად თამაშობენ პატარები — გიორგი გაგნიძე და ლაშა ლოსაბერიძე. სწორედ მათი სწრაფი გარღვევებით გატყდა რუსთაველთა დაცვა და ორ წუთში „აზოტის“ 11-ქულიანი სხვაობიდან აღარაფერი დარჩა 60:60. მატჩის დასასრულამდე 8,35 წუთია და „ვითას“ ერთ-ერთი ლიდერი მამუკა აბრამიძე მეხუთე პერსონალურისთვის ტოვებს მოედანს. აქ „ვითას“ პრეზიდენტს და მწვრთნელს ნერვებმა უმტყუნა და მოედანზე გამოცვივდნენ, რისთვისაც მსაჯებმა სავსებით სამართლიანად ტექნიკურითაც დაჯარიმეს. „აზოტმა“ აქედან ვერ ამოწურა მაქსიმუმი: ბადრი კიკვიძემ ოთხიდან სამი საჯარიმო ჩაადო, ბურთი „აზოტს“ დარჩა, მაგრამ რუსთაველებმა ადვილად დაკარგეს იგი და „ვითა“ ამ კრიტიკულ სიტუაციასაც გადაურჩა.

5,39 წამით ადრე „აზოტი“ სამი ქულითაა წინ 67:64 და აქ გიორგი გაგნიძე მართლაც რომ „ოქროს გარღვევას“ აკეთებს, ბურთსაც ათავსებს კალათში. მასთან ორთაბრძოლაში ბოისა მეხუთე შენიშვნას იღებს და დამატებით საჯარიმოთი ანგარიშსაც ათანაბრებს.

„ვითამ“ საიმედოდ გადაკეტა თავისი კალათისკენ გზები და რუსთაველები ვერანაირად ახერხებენ, ირაკლი ჯაფარიძე პასებით მოამარაგონ. ბოისასა და ბერუაშვილს არყოფნაში კი ფარზე ვითელთა უპირატესობა გამოიკვეთა: ორმოცაძემ და ჩუბინიძემ ორივე ფარი დაიპყრეს. ამ მომენტში რამაზ გოგობერიშვილი მთლიანად თავის თავზე იღებს თამაშს და შედეგიანადაც. მისი ჩინებული გარღვევები მატჩის ბედსაც გადაწყვეტდა, მაგრამ ვითელებსაც გამოუჩნდათ ლიდერი ალეკო დავითულიანი, რომლის წინააღმდეგ რუსთაველები ვერაფერს ახერხებენ. დაღლილ რუსთაველებს მისი გარღვევების შეჩერება უჭირთ და მატჩის დასასრულამდე სამი წუთით ადრე დავითულიანის ზუსტი ტყორცნის შემდეგ „ვითა“ უკვე ხუთი ქულითაა წინ 78:73.

ოთარ ხმელიძე წუთშესვენებას იღებს და რუსთაველები ბოლო ძალებს იკრებენ. „აზოტი“ წვეთ-წვეთად ამცირებს სხვაობას. მათგან ენერგია გოგობერიშვილს და ჩაჩუას აქვთ შერჩენილი და ეს უკანასკნელი წუთნახევრით ადრე კვლავ ათანაბრებს ანგარიშს 85:85. ისევ დავითულიანს გაჰყავს ჩემპიონი წინ. რამაზ გოგობერიშვილი მხოლოდ ერთ საჯარიმოს იყენებს და ბოლო წუთში გუნდებს ერთი ქულა აცილებთ — 87:86 „ვითას“ სასარგებლოდ.

ბურთი ვითელებს აქვთ, ტურაშვილი ვერ აგდებს კალათში, მაგრამ ბურთს ორმოცაძე ეუფლება. ვერც მისი სროლაა ზუსტი. ბურთი გოგობერიშვილს უვარდება ხელთ. რამაზმა მთელი მოედანი გადასერა და ჩაჩუას ზუსტი პასი გაუხერხა 88:87 „აზოტის“ სასარგებლოდ.

ბურთი ჩემპიონებს აქვთ და 16 წამით ადრე რუსთაველები დავითულიანზე ჯარიმდებიან. ალეკომ წინა სროლებისას, ამ კრიტიკულ მომენტამდე ზედიზედ ოთხჯერ მხოლოდ თითო საჯარიმო გამოიყენა, ამჯერად კი ორივე ბურთს ზუსტად ათავსებს კალათში.

რუსთაველები შეტევას იწყებენ, მაგრამ მოედნის ცენტრში ბურთს კარგავენ. ტურაშვილმა ბურთი დაბღუჯა, მაგრამ მას რამდენიმე რუსთაველი ეცა და... სადავო... ამ ბრძოლაში კიდევ რამდენიმე წამმა გაიარა.

სადავო ბურთს რუსთაველები იგებენ. მატჩის დასასრულამდე 6 წამია. გოგობერიშვილი ვითელთა კალათისკენ მიილტვის, მაგრამ ჯარი წაერევა და რამაზიც შორიდან ტყორცნის. ბურთი ხვდება ფარს, მაგრამ კალათში არ ვარდება...

„ვითა“ კვლავ ჩემპიონია. ჩემპიონების სიხარულს საზღვარი არა აქვს და, რა თქმა უნდა, საპირისპირო განწყობაა მეტოქეთა ბანაკში.

მატჩის შემდეგ

ზურაბ ტომარაძე (ვითას მთავარი მწვრთნელი): დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბიჭებს. მათ უძნელესი მატჩი მოიგეს. რუსთავის „აზოტი“ ძალიან კარგი გუნდია და დღეს ნამდვილი ვაჟკაცური ბრძოლა იყო მოედანზე. უზომოდ გახარებული ვარ, რომ ყველაფერი ასე კარგად დასრულდა და ჩვენმა მუშაობამ შედეგი გამოიღო.

მამუკა ტურაშვილი (ვითა): მსაჯებმა ამ სერიაში ბევრი შეცდომა დაუშვეს. ჩვენ ყველა მატჩის ვიდეოჩანაწერი გვაქვს და ძალიან ბევრი შეცდომაა ჩვენს მეტოქეთა სასარგებლოდ.

როცა 11 ქულით ჩამოვრჩით, უკვე თითქმის აღარ მჯეროდა გამარჯვების, მაგრამ ბიჭებმა სასწაული მოახდინეს. ბოლოს უკვე მხოლოდ გამარჯვება მქონდა თავში.

რამაზ გოგობერიშვილი (აზოტი): ვერაფერს ვიტყვი. ჩვენი ბრალი იყო ყველაფერი. გამარჯვება ხელიდან გავუშვით. ცუდია, რომ რუსთავის 50 წლისთავს ჩემპიონებად ვერ შეეხვდით.

ზაზა გაბისონია (აზოტი) ტრავმის გამო ამ მატჩებს სათადარიგო სკამიდან ადევნებდა თვალს.

— ზაზა, ბევრის ზრით, თქვენ რომ გეთამაშათ, შედეგი უკეთესი იქნებოდა.

— მეც მინდა ჩემი თავი წარმოვიდგინო ამ მატჩში, მაგრამ ფაქტია, დავმარცხდით და ახლა ვერაფერს შეეცვლით. ძალიან კარგად ითამაშეს „დინამოს“ ნორჩმა მოთამაშეებმა გიორგი გაგნიძემ და ლაშა ლოსაბერიძემ. ჩვენი გუნდი დაიღალა და ბოლოს დაცვა მთლიანად მოიშალა.

გია აგლაძე
გიორგი გიჟაშვილი
გურამ დოლენჯაშვილი (ფოტო)

Ice Hockey World Championship Zurich/Basle, Switzerland May 1 - May 17, 1998

მსოფლიოს ჩემპიონატი

ნახევარფინალის ზღურბლთან

9 მაისი

E ჯგუფი

კანადა — ფინეთი 3:3
1:0, 1:1, 1:2
შაიბები: ემერსონი 2 (1:0), კარალაჰტი 3 (1:1), ჟელინა 1 (2:1), უიტნი 4 (3:1), ტიმონენი 2 (3:2), პელტონენი 3 (3:3)

კანადელები აშკარად სჯობდნენ მეტოქეს და როცა 48-ე წუთზე მათმა საუკეთესო სნაიპერმა რეი უიტნიმ ფინელთა უნაში შეცდომის შემდეგ ანგარიში სხვაობა ორამდე გაზარდა, თითქოს მატჩის ბედიც გადაწყდა. მერე მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ „ნეკრჩხლის ფოთლების“ ყველაზე გამოცდილმა მცველმა რობ ბლეიკმა წესები დაარღვია და თანაგუნდელები უმცირესობაში დატოვა. სკანდინავიელებმა, რომლებიც ამ ტურნირზე ძლიან კარგად იყენებენ რიცხვმრავლობას (15 ცდიდან 9 გამოიყენეს), კვლავ იყოჩაღეს — ჯერ მცველმა ტიმონენმა დაარტყა ზუსტად საშუალო დისტანციიდან, ხოლო მატჩის დამთავრებას 15 წამი რომ დააკლდა და ფინელებმა მეკარე მეექვსე მოთამაშით შეცვალეს, კარის ახლოს ბრძოლაში პელტონენმა იმარჯვა და თავის გუნდს ნახევარფინალში გასვლის შანსი შეუნარჩუნა.

შვედეთი — ბელარუსი 2:1
0:0, 1:0, 1:1
შაიბები: ფორსბერგი 1 (1:0), რომანოვი 2 (1:1), სუნდინი 4 (2:1)

ფორსბერგის ციურიხში ჩასვლამ მაყურებლის ტურნირისადმი ინტერესი გააორკეცა, მაგრამ კოლორადოს სუპერვარსკვლავს პირველ მატჩში, ფინეთთან, თავი არაფრით გამოუჩენია. ამჯერად კი პიტერი ერთობ აქტიურობდა და თანაგუნდელთა შორის ერთ-ერთი საუკეთესოც იყო. ანგარიშიც სწორედ მან გახსნა. მათს სუნდინმა კი მატჩის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე გადამწყვეტი გოლი გაიტანა.

F ჯგუფი

რუსეთი — სლოვაკეთი 6:1
1:0, 1:0, 4:1
შაიბები: ეროფეევი 1 (1:0), ბერეზინი 5 (2:0), იუშკევიჩი 1 (3:0), პეტრენკო 2 (4:0), სვეერანი 1 (4:1), კოზლოვი 4 (5:1), ბერეზინი 6 (6:1)

შვეიცარიასთან სენსაციური მარცხის შემდეგ რუსებმა გაცილებით კარგად ითამაშეს და მეტოქეს, ფაქტობრივად, არ მისცეს თამაშში გარდატეხის შეტანის შანსი. რუსების მცველები ამჯერად ძალიან აქტიურობდნენ და პირველი სამი გოლიდან ორი მათ მიითვალეს. ფლორიდელმა ფორვარდმა ვიქტორ კოზლოვმა გოლს 2 შედეგიანი პასი დაუმატა და 10 (4+6) ქულით ბომბარდირთა დავაზიც დაწინაურდა. მიუხედავად ამისა, რუსების ნახევარფინალში გასვლა მაინც საეჭვოა. ამისთვის მათ ჩეხებთან რაც შეიძლება დიდი ანგარიშით უნდა მოიგონ.

ჩეხეთი — შვეიცარია 3:1
1:0, 2:1, 0:0
შაიბები: ლუბინა 3 (1:0), ბელოჰლავი 5 (2:0), აიაქსი 1 (2:1), ფ. კუჩერა 4 (3:1)

შვეიცარიელებმა ზედიზედ მეორე სენსაცია ვეღარ მოახდინეს. ოლიმპიურ ჩემპიონებს მათი ძლევა კი გასჭირვებიათ და მასპინძლები მხოლოდ თავიანთი 20 წლის მეკარის საიმედო თამაშის წყალობით გადაურჩნენ კიდევ უფრო დიდი ანგარიშით წაგებას. ჩეხეთის შემადგენლობაში ოთხივე სამეული შედეგიანად თამაშობს, ხოლო ევროპაში მოთამაშე ბელოჰლავი, ფრანტიშეკ კუჩერა, ახალგაზრდა კაცირი (სწორედ მისი საუცხოო გადაცემის შემდეგ გაიტანა კუჩერამ გოლი, რომელმაც ანგარიშს საბოლოო სახე მისცა) და სხვები გუნდის ოთხ ნჰლ-ელს მონდომებასა და ოსტატობაში არაფრით ჩამოუვარდებიან.

მე-9-მე-12 ადგილებისთვის:
ლატვია — იტალია 1:1, აშშ — გერმანია 1:1

სამველ ღარიბიანი



კონფერენციების ნახევარფინალი

რუჩინსკი იქნებ მართალიცაა

დასავლეთი

დეტროიტი 0 სენტ ლუისი 1
8 მაისი
დეტროიტი — სენტ ლუისი 2:4
0:1, 1:0, 1:3
შაიბები: გილი 1 (0:1), ლაპოინტი 1 (1:1), კემპბელი 4 (1:2), პალი 3 (1:3), კემპბელი 5 (1:4), ჰოლმსტრიომი 2 (2:4)

თასის მფლობელები მეორე რაუნდში კოლორადოსთან პრინციპულ ბრძოლას მოელოდნენ, მაგრამ ედმონტონის გამარჯვებამ „წითელფრთიანებს“ იმედები გაუცრუა. ისინი, როგორც ჩანს, სათანადოდ ვერ განეწყვნენ სენთ ლუისთან საპაექროდ. ყველაფერი მესამე პერიოდში გაირკვა, როცა „ბლუზმენებმა“ ზედიზედ სამი შაიბა შეაგდეს. ჩემპიონთა მობერებულმა დაცვამ ვერაფერი გააწყო ახალგაზრდა ჯიმ კემპბელის წინააღმდეგ. სენთ ლუისი ჯერჯერობით ერთადერთი გუნდია, რომელსაც პლეი ოფში არც ერთი მატჩი არ წაუგია. ასე რომ, დეტროიტს დიდი ძალისხმევა დასჭირდება.

დალასი 1 ედმონტონი 1
9 მაისი
დალასი — ედმონტონი 0:2
0:0, 0:1, 0:1
შაიბები: უეიტი 2 (0:1), მიურეი 1 (0:2)

ედმონტონის გოლკიპერმა კერტის ჯოზეფმა მხოლოდ ერთი დღე დაისვენა და კვლავ საუცხოოდ ითამაშა. სწორედ „კუჯოს“ (გოლკიპერის მეტსახელია) დამსახურებაა, მისმა გუნდმა ბოლო წამებამდე რომ შეინარჩუნა მინიმალური უპირატესობა — მიურეიმ გოლი მატჩის დამთავრებამდე 10 წამით ადრე გაიტანა ცარიელ კარში და სერიაში ანგარიში გაათანაბრა. ისე, ზოგადად რომ ვთქვათ, ედმონტონი უფრო კარგად გამოიყურება, ვიდრე მრისხანე დალასი. პირველ პერიოდში „ვარსკვლავებმა“ ერთხელაც ვერ დაარტყეს ჯოზეფის კარში.

ვაშინგტონი 2 ოტავა 0
9 მაისი
ვაშინგტონი — ოტავა 6:1
0:0, 4:1, 2:0
შაიბები: უიტი 1 (1:0), იაშინი 4 (1:1), ჟიუნო 4 (2:1), რიკი 1 (3:1), ზედნიკი 3 (4:1), ბელოუზი 4 (5:1), ოუთსი 5 (6:1)

ასეთი რამ არ ახსოვს ნჰლ-ს ისტორიას. მეორე პერიოდის შუაგულიდან თამაშის ბოლომდე მასპინძლებმა სულ ექვსჯერ დაარტყეს და ექვსივე (!) შედეგიანი აღმოჩნდა. და ეს ყველაფერი ვაშინგტონელებმა თავიანთი საუკეთესო სნაიპერის, პეტერ ბონდრას გარეშე მოახერხეს. მან პირველ შაიბამდე რამდენიმე წუთით ადრე ტრავმა მიიღო. „კეპიტალსის“ რიგებში კვლავ გამოირჩეოდნენ ვეტერანები — ბრაიან ბელოუზი (1+2), ოუთსი (1+11), ჟიუნიო (11+2) და ესა ტიკანენი, რომელმაც შესანიშნავად ჩაკეტა ოტაველთა ლიდერი იაშინი.

აღმოსავლეთი

ბუფალო 1 მონრეალი 0
8 მაისი
ბუფალო — მონრეალი 3:2
2:0, 0:0, 0:2, 1:0
შაიბები: ჰოლცინგერი 3 (1:0), სანდერსონი 1 (2:0), სტივენსონი 1 (2:1), დამფუსი 3 (2:2), სანდერსონი 2 (3:2)

იქნებ მონრეალის ფორვარდი მარტინ რუჩინსკი მართალიცაა, ბუფალოს საშუალო გუნდად რომ მიიჩნევს, რომელიც უპაშქოდ პლეი ოფში წარმატებას ვერაფრით მიაღწევდა. ჰაშეკი მართლაც ჩინებულად თამაშობს, მისი გუნდი კი სერიაში დაწინაურდა. მონრეალი აშკარად სჯობდა მეტოქეს, გამუდმებითაც უტევდა... ოვერტაიმში „ხმლებმა“ პირველივე შეტევაზე იხეირეს — ჰოლცინგერის დარტყმულს ჯეფ სანდერსონმა დაამატა და გამარჯვების გოლიც გაიდა.

სამველ ღარიბიანი

სარბიელი

სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზურაბ მეძველია
ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კუტალია, ოთარ ხმელიძე
სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები:
მია პაზანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ზარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჩედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29